

შპს „სპრაიტრამო“ ს/კ 405183037

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს „სპრაიტრამო“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

აქტივები	შენიშვნები	2022	2021	2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	1230	217053	441184
სავაჭრო მოთხოვნები	2	25462	78140	6157
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	3			
მარაგები		1892	69490	45736
- მზა პროდუქცია		1892	69490	45736
- სხვა	4			
სხვა მიმდინარე აქტივები	5	5682	55980	24760
ძირითადი საშუალებები	6	8560	33883	47758
სულ აქტივები		42826	454546	565595
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	2560	229082	346419
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	8			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	0	150000	150000
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები		2560	379082	496419

საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		40266	75464	69176
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი		40266	75464	69176
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		42826	454546	565595

შპს „სპრაიტრამო“-ს მოგებისა და ზარალის და და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნები	2022 წ	2021 წ
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან		134434	5464290
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-122410	-4969211
საერთო მოგება		12024	495079
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება		-16985	-243673
ცვეთა და ამორტიზაცია		-5890	-14280
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი		-16230	-72960
იჯარის ხარჯი			-8188
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-10545	-199690
საოპერაციო მოგება		-37626	6288
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან			
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		-37626	6288
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		-37626	6288

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-	
სხვა		-	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		-37626	6288
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		75464	69176
კაპიტალის გაზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		37838	75464

2. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „სპრაიტრამო“ (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 28 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 405183037. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ. I კვ.კორ. 6ა ბ.9 ხოლო საქმიანობის ფაქტობრივი მისამართია ქ. ახალციხე ყოფილი ტყესანერგე მეურნეობის ტერიტორია.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა უაღვროლო სასმელებით. შპს „სპრაიტრამო“ ახორციელებს პროდუქციის შეძენას და სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ ბაზარზე ახდენს მის რეალიზაციას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ზვიად რამიშვილი (პ/ნ 01024016422). კომპანიის დირექტორია ზვიად რამიშვილი (პ/ნ 01024016422). კომპანიას 2022 წლის განმავლობაში დასაქმებული ჰყავდა საშუალოდ 2 თანამშრომელი (დირექტორი, ბუღალტერი, დამლაგებელი, ოპერატორები, პრესეილერები, მძროლები და საწყობის თანამშრომელები)

კომპანია ფინანსური აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. კომპანიას შვილობილი საწარმო არ გააჩნია.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ამონაგების აღიარება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მიყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

გადასახადები

მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის

მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

შენიშვნები	კომპანიას საკუთარი შენიშვნები არ გააჩნია
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5-7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-7 წელი

იჯარა

კომპანიას საქმიანობისათვის იყენებს ფიზიკური პირისგან იჯარით აღებულ ფართს.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მომწოდებლისაგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება მომწოდებლისთვის გადასახდელი არადისკონტირებული ღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისაგან მისაღები ფულადი სახსრები არადისკონტირებული ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს ეროვნულ ვალუტაში.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო საქმიანობისათვის.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 31 დეკემბერი 2022

შრომის ანაზღაურება 16985 ლარი

ცვეთა 5890 ლარი

ავტომანქანების მიმდნარე ხარჯი 1352 ლარი

ადმინისტრაციის, სამეურნეო, სამშენებლო ხარჯები 1425 ლარი

ბანკის საპროცენტო ხარჯი 16230 ლარი

საკანცელარიო, სამეურნეო ხარჯი 4437 ლარი

საწვავის ხარჯი 2368 ლარი

კომუნალური ხარჯი 13

წარმომადგენლობითი ხარჯი 950 ლარი

სულ ხარჯი 49650 ლარი


სახელფასო განაცემები

შრომის ანაზღაურება (ხელფასი), ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 30 სექტემბერი.

დირექტორი:



ზვიად რამიშვილი

ბუღალტერი:



ნინო ხაჭაპურაძე